საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

ქ. თბილისი 14 მაისი, 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნინო ინწკირველი

საკონკურსო კომისიის წევრები: ზვიად ნადირაძე, მერაბ ემირიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის
წევრები: ნათია ხუჯაძე,
ლაშა ბოკუჩავა

დღის წესრიგი: საზოგადოებრივი ცენტრების (სოფლის სახლების) შენობის განსათავსებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე 2013 წლის 29 აპრილს გამოცხადებულ #750 კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის, ზვიად ნადირაძის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას შეახსენა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში წინადადება წარმოადგინა სამმა კონკურსანტმა: შპს „არქიტექტურული ბიურო“-მ, შპს „ტოპ დიზაინმა“ და შპს „ოპტიმუსმა“.

განხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „არქიტექტურული ბიურო“-ს და შპს „ტოპ დიზაინი“-ს მიერ წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების 7.2 პუნქტს, კერძოდ: შპს „არქიტექტურული ბიურო“-ს შემთხვევაში ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ შეიცავს შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებას და საიდენტიფიკაციო კოდს, ხოლო შპს „ტოპ დიზაინი“-ს შემთხვევაში არასწორად არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის

საფუძველზე შპს „არქიტექტურული ბიურო"-ს და შპს „ტოპ დიზაინი"-ს საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო კომისიის წევრმა მერაბ ემირიძემ შპს „ოპტიმუსი"–ს საკონკურსო წინადადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ წარმოდგენილი წინადადება სრულ შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან და მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს საკონკურსო წინადადების შეფასება.

საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებები თან ერთვის სხდომის ოქმს.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. განხორციელდეს შპს „არქიტექტურული ბიურო"-ს და შპს „ტოპ დიზაინი"-ს დისკვალიფკაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე.
2. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს დისკვალიფიკაციის თაობაზე წერილის გაგზავნა შპს „არქიტექტურული ბიურო"–სთვის და შპს „ტოპ დიზაინი"-სათვის.
3. შპს „ოპტიმუსი" გამოცხადდეს გამარჯვებულად და მოწვეული იქნას ხელშეკრულების გასაფორმებლად, რისთვისაც განესაზღვროს ვადა არაუგვიანეს 2013 წლის 21 მაისისა.
4. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა შპს „ოპტიმუსი"–სათვის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: /ნინო ინწკირველი/

კომისიის წევრი: /მერაბ ემირიძე/

კომისიის წევრი: /ზვიად ნადირაძე/

შენიშვნა: საკონკურსო კომისიის წევრები მამუკა სამხარაძე და მალხაზ ტაბლიაშვილი არ ესწრებოდნენ კომისიის სხდომას მივლინებაში ყოფნის გამო.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო"-ს საკონკურსო კომისიის თავჯდომარის შეფასება

№	შეფასების კრიტერიუმი	შეფასების კოეფიციენტი	შპს "ოპტიმუსი"	
			ქულა	ჯამი
1	არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0.5	8	4
2	საკონკურსო წინადადების ფასი	0.3	9	2,7
3	გამოცდილება (მათ შორის სპეციალისტების გამოცდილება)	0.2	8	1,6
			სულ	8,3

გამარჯვებულად ვთვლი შპს "ოპტიმუსი"

ნინო ინწკირველი ნ. ინწ

(ხელმოწერა)

14/ნ 2013წ.

(თარიღი)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო"-ს საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

№	შეფასების კრიტერიუმი	შეფასების კოეფიციენტი	შპს "ოპტიმუსი"	
			ქულა	ჯამი
1	არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0.5	8	4
2	საკონკურსო წინადადების ფასი	0.3	8	2.4
3	გამოცდილება (მათ შორის სპეციალისტების გამოცდილება)	0.2	8	1,6
			სულ	8

გამარჯვებულად ვთვლი "[illegible]"

ზვიად ნადირაძე _____ (ხელმოწერა)

14.05.2013 (თარიღი)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო"-ს საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

№	შეფასების კრიტერიუმი	შეფასების კოეფიციენტი	შპს "ოპტიმუსი"	
			ქულა	ჯამი
1	არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0.5	8	4
2	საკონკურსო წინადადების ფასი	0.3	9	2,7
3	გამოცდილება (მათ შორის სპეციალისტების გამოცდილება)	0.2	8	1,6
			სულ	8,3

გამარჯვებულად ვთვლი "ოპტიმუსი"

მერაბ ემირიძე _____ 14.05.2013

(ხელმოწერა) (თარიღი)